

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №40

ქ. თბილისი

04.07.2019

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

გიორგი ამილახვარი - შპს "თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის" რექტორი, ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ლიპარტია - ა(ა)იპ - იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, ა(ა)იპ - საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს მდივანი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

სერგო ჭელიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკლავრო და სამართლის სამაგისტო პროგრამების ხელმძღვანელი

ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი სიტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

გაიანე სიმონია - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, გერიატორის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი

ხათუნა თოდაძე - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

დენიტა ბიბილეიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;

სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი;

თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს მოწვეული წევრები:

გიორგი ხუფენია - სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს პროფესიული პროფესიული რეგულირების დეპარტამენტის პროფესიული მხადების სამმართველოს უფროსი;



დავით გაგუა - შპს "გაგუას კლინიკის" გენერალური დირექტორი, მედიცინის დოქტორი;
დავით კობეშვიძე - შპს "იმედის კლინიკის" დირექტორი, ექიმი მენ-გინეკოლოგი, მედიცინის დოქტორი, პროფესორი;

დიმიტრი კორძაია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის კლინიკური ანატომიისა და ექსპერიმენტული მოდელირების დეპარტამენტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, პროფესორი;

ია ცინცაძე - სს „ჯერარსის“ კარდიოლოგი, რადიოლოგი, მედიცინის დოქტორი;

ანა კაკაბაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი;

ნათია ნოღაიდელი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი;

ნინო კეკელიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ექიმი;

შოთა ცანავა - სსიპ - ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ბიოუსაფრთხოებისა და განსაკუთრებით საშიში პათოგენების დეპარტამენტის უფროსი, მედიცინის დოქტორი;

ხათუნა ზალდასტანიშვილი - სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების დეპარტამენტის უფროსი;

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

ვახტანგ ჟვანია
მაკა კარტოზია
თათია უბერი
თეიმურაზ პაპასქირი
გვანცა აბდალაძე
თეონა კუპრაძე
მაია ზარნაძე
ნიკა გვაზავა
დავით ჯიქია
ვახტანგ თებეძე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

თეა ნადირაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ქრისტინე აბულაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

თამარ გიორგობიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ლაშა მაჭარაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:



შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი:

გია ლილუაშვილი - პროფესორი
ზაზა რუხაძე - დაკულტეტის დეკანი
რობერტ მაიკლ ქაუგილი - უნივერსიტეტის პრეზიდენტი
ლელი ჩიხრაძე - პრეზიდენტის ასისტენტი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

სერგო ვარდოსანიძე - რექტორი
ლევან ჯიქია - ფაკულტეტის დეკანი
ვახტანგ გურული - პროფესორი
პაატა გოგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიგა ზედანია - რექტორი
ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
ელენე ყურავლიოვა - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
დავით თარხნიშვილი - ფაკულტეტის დეკანი
მიხეილ ოკუჯავა - პროფესორი
ივანე აბიათარი - პროგრამის ხელმძღვანელი
ანზორ ჭავჭავაძე - მოწვეული ლექტორი
ეკა ლეფსვერიძე - პროფესორი

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი

ლევან ტვილდიანი - რექტორი
ნინო თაბაგარი - ფაკულტეტის დეკანი
თამარ თალაკვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
ნინო გიორგაძე - იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:10 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე ქეთევან ქოქრაშვილი. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:



1. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
4. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ (ე-პდს) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

1. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
კვალიფიკაციის დონე	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის ბაკალავრი 0421
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშებსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრეებს გააცნო პროგრამასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ჯგუფმა შეაფასა როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამა და ამ შემთხვევაში იგი საბაკალავრო პროგრამას წარმოადგენდა. მან აღნიშნა, რომ დასკვნა ეფუძნებოდა გასაუბრებებსა და წარმოდგენილ დოკუმენტაციას და აქედან გამომდინარე, წარმოადგენდა ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთებულ შეხედულებას საბაკალავრო პროგრამის შესახებ. მისი თქმით, ხაზგასასმელი იყო ის, რომ უნივერსიტეტი მაქსიმალურ რესურსსა და შესაძლებლობას დებდა პროგრამის განხორციელებაში, რაც აისახებოდა აკადემიურ პერსონალში, ასევე, გამორჩეულად კარგ ბიბლიოთეკაში. მისი თქმით, პროგრამასთან დაკავშირებით გამოსარჩევი იყო რამდენიმე

დადებითი საკითხი: სასწავლო კურსები, სრულფასოვანი შეფასების სისტემა, უახლესი ლიტერატურა, ელექტრონული რესურსები. მისი შენიშვნით, მნიშვნელოვანი იყო, რომ საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებული იყო პრაქტიკაზე, რაც გამოიხატებოდა გაფორმებულ მემორანდუმების რაოდენობასა და დამსაქმებელთან კომუნიკაციაში. მან შენიშნა, რომ ერთ-ერთმა დამსაქმებელმა დაადასტურა, რომ თავადაც ჩართული იყო პროგრამის ყოველდღიურ განვითარებაში და კითხულობდა ლექცებს. მისი თქმით, ეს ყველაფერი მიზნად ისახავდა, რომ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული სრულად მზად ყოფილიყო პასუხი გაეცა ბაზრის მოთხოვნებისთვის. მან ასევე აღნიშნა, რომ ჯგუფს ჰქონდა რამდენიმე რჩევა, იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც, მათი აზრით, საჭიროებდა გაუმჯობესებას. პირველი, ეს იყო გაცვლითი პროგრამები. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა მემორანდუმი ბევრ უნივერსიტეტთან, თუმცა შედეგი იყო ის, რომ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს ამ პროგრამებით არ უსარგებლიათ. მისი თქმით, დაწესებულების პასუხი იყო, რომ კონკურსის გადალახვა დამოკიდებული იყო სტუდენტების მოსწრებაზე და როგორც ჩანდა, სხვა ფაკულტეტის სტუდენტებმა აჯობეს პროგრამის სტუდენტებს. მან ასევე აღნიშნა, ხარისხის სამსახური იცავდა ყველა არსებულ სტანდარტს, თუმცა ექსპერტების მხრიდან გაცემული იყო რჩევა, რომ სტუდენტები უფრო მეტად ყოფილიყვნენ ჩართულები შეფასებებში. მან ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი საბაკალავრო პროგრამაზე აქტიურად მუშაობდა დარგთაშორისი კონცენტრაციის კურსების დანერგვაზე. მან აღნიშნა, რომ მისასალმებელი იყო, რამდენადაც აკადემიური პერსონალიც ჩართული იყო ამ საქმეში და არსებობდა მცდელობები მათი მხრიდან, რომ სფეროებს შორის საერთო წერტილები ეპოვათ. მან ასევე აღნიშნა, რომ ჯგუფი მიესალმებოდა უნივერსიტეტის მცდელობას, რომ აკრედიტაციის პროცესის დაწყებამდე, გარე შეფასება ჩაეტარებინათ და გაფორმდა ერთ-ერთ ორგანიზაციასთან ხელშეკრულება, რომლის დასკვნაც რამდენიმე თვეში იქნებოდა. მან აღნიშნა, რომ პროგრამის გაუმჯობესებაზე უნივერსიტეტი ბევრს მუშაობდა.

მან ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში არსებული Legal English-ის გაძლიერებული კურსის არსებობა მისასალმებელია და როგორც აღმოჩნდა, ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია მომავალში სტუდენტების დასაქმებისას. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომის დამუშავების შესაძლებლობა ეძლეოდათ სტუდენტებს, რაც აადვილებდა აკადემიური უნარების ათვისებას. მისი თქმით, უნივერსიტეტი მიჯნავდა ე.წ. იურიდიულ კლინიკას ტრადიციული პრაქტიკისაგან. მისი თქმით, იურიდიული კლინიკის ფარგლებში სტუდენტები, პრაქტიკისაგან დამოუკიდებლად, შეასრულებენ კლინიკის დავალებებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ნამდვილად ამაცობს პროგრამით და მოხარულია, რომ ექსპერტებმაც ეს აღნიშნეს. მან შენიშნა, რომ ის უკუკავშირი, რომელიც სტუდენტებისა და პროფესორებისგან მოდიოდა ნამდვილად დადებითი იყო და ჩანდა, რომ უნივერსიტეტი და პროგრამა ნამდვილად ასრულებდა თავის ფუნქციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა დადებითად შეაფასა ექსპერტთა მიერ გაწეული სამუშაო და აღნიშნა, რომ შეფასების პროცესი კონსტრუქციული იყო. მან შენიშნა, რომ ინტერნაციონალიზაციის მხრივ სამუშაო ნამდვილად საჭიროა. მან შენიშნა, რომ თავდაპირველად, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი იყო ორიენტირებული ამერიკულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობაზე, თუმცა რთული მომენტია ის, რომ ქართულ და ამერიკულ ინსტიტუტებს შორის სხვაობა დიდია და ასევე, ამერიკული განათლების ფასიც მაღალია, შესაბამისად, პროგრამამ დაიწყო გადაწყობა ევროპის უნივერსიტეტებისაკენ. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე პერიოდში მუშაობდა ერასმუსის პროგრამა და 18 ევროპულ უნივერსიტეტთან არსებობდა პარტნიორობა, ხოლო მომდენვო სემესტრიდან მისი აზრით, სტუდენტებს დაახლოებით 24 ევროპულ უნივერსიტეტთან შეეძლებოდათ ურთიერთობა.

რაც შეეხებოდა შეფასებას, მისი თქმით, უნივერსიტეტი გარკვეულწილად ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფს და გარკვეულწილად არა. მან აღნიშნა, რომ დასკვნაში აღნიშნულია, რომ დაწესებულების ადმინისტრაცია აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან რეგულარულად მართავდა შეხვედრებს, რაც შეესაბამებოდა სიმართლეს. თუმცა, მან დაამატა, რომ ფორმალისთვის თვალსაზრისით, გამოცდის წინა შეფასება ნამდვილად მნიშვნელოვანია და გათვალისწინებული იქნებოდა.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი ამილახვარმა აღნიშნა, რომ იგი მეტწილად ეთანხმება ექსპერტთა დასკვნას. მისი თქმით, რომ პროგრამის არქიტექტონიკა ნამდვილად საინტერესოა, ასევე მისასალმებელია დარგთაშორისო მიმართულება. რაც შეეხება „ბიზნესის სამართალს“, აქ, მისი თქმით, უნდა აღნიშნულიყო, რომ ნამდვილად ჩანდა ის ერთი ხაზი, რომელსაც გასდევდა სილაბუსის ავტორი და კარგია, რომ არსებობდა წინაპირობები, კერძოდ, საკორპორაციო და შრომის სამართალი. თუმცა, მან შენიშნა, რომ ჰქონდა კითხვა, თუ რატომ იყო საბაკალავრო პროგრამაში ამ საგნის არსებობა, რადგან, შთაბეჭდილება ჰქონდა, რომ ზოგიერთ კურსთან არსებობდა გადაფარვები თემატიკების მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არსებობდა გარკვეული თემატიკები, რომლებიც მოდიოდა გადაფარვაში, თუმცა მოცულობაში ასე არ ხდებოდა, ანუ კლასიკური სახით გადაფარვა არ ხდებოდა, პრაქტიკამ აჩვენა, რომ ეს საგანი იყო საჭირო, რადგან თვლიდა, რომ შეუძლებელია დღესდღეობით სამართლის ბაკალავრი ნორმატივიზმით შემოფარგლული ყოფილიყო. მისი თქმით, ეს იყო საკუთარი გამოცდილების ნაყოფიც, რომ ამ საკითხთან ხშირ შემთხვევაში არ აქვთ შეხება იურისტებს. მან შენიშნა, რომ სამართალი რამდენადმე ბაზირებული იყო ეკონომიკაზე და არ იქნებოდა სწორი საბაკალავრო დონე მხოლოდ ნორმატიულ ჩარჩოებში მოქცეულიყო. მისი შენიშვნით, პრაქტიკა აჩვენებდა, რომ სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლები უფრო ლაღად მსჯელობდნენ კონსტიტუციურ საკითხებზე ეკონომიკის ცოდნიდან გამომდინარე, ვიდრე იურისტები.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი ამილახვარმა აღნიშნა, რომ შენიშვნა ჰქონდა საბანკო სამართალთან დაკავშირებითაც და დაამატა, რომ ლიტერატურა, რომელიც გამოყენებულია სავალდებულოდ, 2012 წლის იყო და არსებობდა იმავე ავტორის 2017 წლის რედაქციაც. მისი თქმით, უკეთესია ამ ვერსიის გამოყენება, რადგან შუალედში გარკვეულ საკანონმდებლო ცვლილებებსაც ჰქონდათ ადგილი. მან ასევე შენიშნა, რომ „საერთაშორისო სავაჭრო სამართალში“ გამოყენებულია აკრედიტივი საერთაშორისო სავაჭრო სამართალში და იკითხა, თუ რატომ არ ჩაითვალა საჭიროდ რომ ერთ-ერთ კვირაში ყოფილიყო საუბარი საერთაშორისო სავაჭრო გარიგებაზე. მისი მოსაზრებით, კარგი იქნება ბაკალავრიატის სტუდენტებს ჯერ ეს იცოდნენ და შემდეგ იყოს საუბარი ხელშეკრულებებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ საერთაშორისო სავაჭრო გარიგებები ნამდვილად მნიშვნელოვანი თემაა. მან შენიშნა, რომ სტუდენტებმა ამ ეტაპზე უკვე იცოდნენ გარიგებების შესახებ, თუმცა ამის შესახებ მაინც უწევდა ლექტორს საუბარი, მიუხედავად იმისა, რომ ცალკე საკითხად არ იყო გამოყოფილი. მან აღნიშნა, რომ შესაძლებელია ამისთვის ცალკე კვირის დათმობა, თუმცა მასალის მოცულობიდან და მიღებული პრაქტიკიდან გამომდინარე აღარ ჩაითვალა საჭიროდ. რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, მისი თქმით, გამოცემებში არსებითი განსხვავება არ არის, თუმცა ნამდვილად გასათვალისწინებელია შენიშვნა და რაც უფრო ახალი ლიტერატურა იქნება გამოყენებული, უკეთესია.

საბჭოს წევრმა, ნინო ლიპარტიამ შენიშნა, რომ კერძო სამართლის საბაზისო და არჩევით საგნებში საკმაოდ ძველი ლიტერატურაა გამოყენებული. გარდა ამისა, მისი თქმით, ისეთი საკითხი, როგორც არის სუპრუგაცია დაზღვევის სამართალში ნახსენებიც არ არის. მისი თქმით, ლიტერატურა ასევე იყო 2001 წლის. მან შენიშნა, რომ ეს არ ეხებოდა მხოლოდ ერთ



საგანს და სახელშეკრულებო, ვალდებულებით სამართალშიც იგივე პრობლემებია. იგი დაინტერესდა, ამ საკითხზე თუ გაამახვილა ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება და რატომ არ მოხდა მისი რეკომენდაციის სახით ასახვა?

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შენიშნა, რომ გამორჩეული ლიტერატურა ჰქონდა უნივერსიტეტს. თუმცა მან ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს უცხოენოვანი ლიტერატურა ძირითადად მაგისტრებისთვის იყო მნიშვნელოვანი. რაც შეეხება კონკრეტულ სილაბუსებს და გამოყენებულ ლიტერატურას, მან შენიშნა, რომ გაჩნდა კითხვები ამასთან დაკავშირებით. მისი შენიშვნით, ინსტიტუციის პასუხი ამ კითხვებზე იყო ის, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი იყენებდა თავისივე მომზადებულ მასალას, რომელიც დააბალანსებდა მოძველებულ ლიტერატურას.

საბჭოს წევრი, ნინო ლიპარტია ჩაეკითხა, ექსპერტთა ჯგუფმა თუ მოითხოვა ზოგიერთ სილაბუსში მითითებული კონსპექტები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ მოცემული ლიტერატურა არ უნახავს ჯგუფს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იყო ორი შემთხვევა, როდესაც ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი თანამედროვე წიგნები ხასიათდებოდა ფაქტობრივი შეცდომებით, რის გამოც ლექტორი უარს ამბობდა მის გამოყენებაზე.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ მიუთითა „იურიდიული ეთიკის“ სასწავლო კურსზე, რომელიც მიჰყავდა პროფესიით ადვოკატს და დაინტერესდა, ხომ არ ჯობდა, რომ რამდენიმე პროფესორის ფარგლებში ყოფილიყო წარმართული აღნიშნული კურსი. ასევე, მისი თქმით ერთ-ერთი საგნის, „წამება ადგილობრივი და საერთაშორისო მექანიზმებით“ შემთხვევაში სასურველი იყო, თუ დაზუსტდებოდა სახელწოდება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იდეა ძალიან საინტერესოა. მისი თქმით, ამ თემაზე იყო განხილვა, თუმცა იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ადვოკატების მხრიდან თემატიკა ძალიან კარგად შეჯამებოდა. მან შენიშნა, რომ არსებობდა მოსაზრება, ჩართულიყვნენ პროკურორები, თუმცა ამ ტენდენციას ინსტიტუციამ თავი აარიდა. რაც შეეხებოდა წამებას, მან შენიშნა, რომ კურსი სტამბოლის ოქმიდან დაწყებული ყველა ხელშეკრულებასა და სანქციას ითვალისწინებს და არ თვლის, რომ არსებობდა ცვლილების საჭიროება.


საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა აღნიშნა, რომ გააჩნდა რჩევა ზოგიერთ სილაბუსებთან დაკავშირებით, არჩევითი კურსებიდან, სადაც რამდენიმე რუსულენოვანი ლიტერატურა იყო მოცემული, წინაპირობა კი არ იყო რუსული და კარგი იქნებოდა თუ ეს წყაროები ნათარგმნი ან ამოღებულ იქნებოდა სილაბუსიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ინგლისური იყო ძირითადი შესასწავლი ენა. თუმცა რამდენიმე ენა იყო სტუდენტებისთვის შეთავაზებული, მათს შორის რუსული და უნივერსიტეტს ჰქონდა რუსეთის კვლევის ცენტრი.

16:45 საათზე გამოცხადდა შესვენება

16:55 საათზე განახლდა სხდომა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.



7

კენჭისყრის შედეგები:

12 - მომხრე
0 - წინააღმდეგი

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის:

საგანმანათლებლო პროგრამა - „სამართალი“

საფეხური - ბალაკავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სამართლის ბაკალავრი 0421

მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საბჭომ პროგრამის სამომავლო განვითარებისათვის განსაზღვრა შემდეგი რჩევები:

- განახლდეს მოძველებული ლიტერატურა სასწავლო კურსების სილაბუსებში
- ამოღებულ იქნეს ან ჩანაცვლდეს რუსულენოვანი ლიტერატურა.

2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საქართველოს ისტორია
კვალიფიკაციის დონე	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ისტორიის მაგისტრი 100401
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშებსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციები, რომლებიც ჟღერდა შემდეგნაირად:

- პროგრამის ცალკეული კურსების სილაბუსები საჭიროებს შესწორებას ან გადამუშავებას. კერძოდ:
 - საგნის „უცხო ენა აკადემიური მიზნებისთვის (ინგლისური ენა)“ სილაბუსი არ შეესაბამება თავის სათაურს და ის მთლიანად გადასამუშავებელია;
 - საგნის „საქართველო და გარე სამყარო (უმველესი დროიდან - XXI საუკუნემდე)“ უნდა ჩაემატოს ქრონოლოგიურად ამოვარდნილი თემა და 4 სხვადასხვა საკითხებზე უნდა დაემატოს შესაბამისი ლიტერატურა;
 - საგნის „საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთა კლასიფიკაცია“ სილაბუსი საჭიროებს შესწორებას, ვინაიდან მასში მითითებულია ქვესაკითხები (მაგალითად, არქეოლოგია – ისტორიის დამხმარე დისციპლინა), რომლებიც სამაგისტრო დონეს არ შეესაბამება;
 - პრაქტიკის სილაბუსში გასასწორებელია საკონტაქტო საათების რაოდენობა.
- მოწესრიგდეს დოკუმენტაცია და განახლდეს შრომითი ხელშეკრულებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა დადებითად შეაფასა ექსპერტთა მიერ გაწეული სამუშაო. მან აღნიშნა, რეკომენდაციები სასწავლო სილაბუსებთან დაკავშირებით ნამდვილად მისაღები იყო. მისი თქმით, ინგლისური ენის კურსის შესახებ პროგრამის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ის ამოღებულ იქნას, რაც საკმაოდ უმტკივნეულო პროცესი იქნებოდა იქიდან გამომდინარე, რომ კურსს არჩევითი სტატუსი გააჩნდა. მან შენიშნა, სასწავლო კურსი საქართველო და გარესამყარო წარმოდგენილი იყო წინა პროგრამაში და სტუდენტთა ინტერესიდან გამომდინარე გადაწყდა, რომ ახალ პროგრამაშიც შესულიყო. მისი თქმით, აქ დაკავშირებით ტექნიკური ხარვეზი იყო სახეზე, რომელიც უკვე გამოსწორდა. მან შენიშნა, რომ ბაკალავრიატის დონეზე წყაროთმცოდნეობა გაძლიერებულადაა გათვალისწინებული ორი სემესტრის განმავლობაში. ამის მიუხედავად, მან შენიშნა, რომ გადაწყდა სამაგისტრო დონეზე ამ სასწავლო კურსის შეტანა, სხვა უნივერსიტეტებიდან მოსული სტუდენტებისთვის გაურკვეველობის თავიდან ასაცილებლად. მან ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა მოსაზრებები აბსოლუტურად მისაღებია და ამ კურსის ამოღებაც მოხდება. პრაქტიკის სილაბუსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ტექნიკური ხარვეზია, რომელიც გამოსწორდა. რაც შეეხება ხელშეკრულებებს, იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა სრულიად განახლებულია, ასეთი პრაქტიკა არსებობს, რომ აკრედიტაციამდე იდებოდა წინარე ხელშეკრულება, ხოლო როდესაც პროგრამა აკრედიტაციას გაივლიდა და მოხდება სტუდენტების ჩართვა, ამის შემდეგ უკვე სხვა ტიპის ხელშეკრულებები იდებოდა, სადაც კონკრეტული პირობები, სტატუსი და ვადებია გაწერილია.

საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა საკმაოდ ძლიერია, რასაც განაპირობებდა პროგრამის განმახორციელებელთა პროფესიონალი გუნდი. მან შენიშნა, რომ ის გაეცნო პერსონალის რეზიუმეებს, რამაც დაადასტურა პროფესიონალიზმი და მიიჩნია, რომ მათ მიერ შემოთავაზებული პროდუქტი ნამდვილად ხარისხიანია.

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა მიმართა კითხვით პროგრამის წარმომადგენლებს, კერძოდ, მისი თქმით, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურაში აღნიშნული იყო, რომ რეცენზენტი აფასებდა სამაგისტრო ნაშრომს, ხოლო შემდეგ დაცვა ხდებოდა კომისიასთან ერთად. იგი დაინტერესდა, იყო თუ არა საქმე ისე, რომ რეცენზენტიც იყო კომისიის წევრი?



დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი განვითარდა მაშინ, როდესაც შესაძლებელი იყო ნაშრომის მრავალჯერადი შეფასება, შემდეგ კი ეს წესი შეიცვალა მინისტრის ბრძანებით. შესაბამისად, ახალ პროგრამაშიც ახალი წესი იყო მოცემული. მისი თქმით, რეცენზენტი პირველად წერდა თავის სიტყვიერ შეფასებას, მოსაზრებას, შემდეგ კი ის ნაშრომს ქულობრივად კომისიასთან ერთად აფასებს.

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა აღნიშნა, რომ ჰქონდა რჩევა კურსის, „ქართულ-ოსური ურთიერთობების ისტორიის“ სილაბუსის შესახებ. მან აღნიშნა, რომ მე-19 საუკუნის საკითხში კარგი იქნება თუ ამ თემასთან დაკავშირებით ბოლოდროინდელი კონფერენციების მასალები დაემატება, რადგან ზოგიერთი შეიცავდა მნიშვნელოვან ინფორმაციას ძეგლებთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, სერგო ჭელიძე დაინტერესდა პრაქტიკის კომპონენტით პროგრამაში. იგი დაინტერესდა, თუ სად გადიოდნენ პრაქტიკას სტუდენტები და ასევე შენიშნა, რომ 450 საათი იყო მოცემული პრაქტიკაში, საიდანაც საკონტაქტო უფრო ნაკლები იყო, ვიდრე დამოუკიდებელი. მან ითხოვა უნივერსიტეტს გაეკეთებინა განმარტება თუკი იყო გარკვეული სპეციფიკა პრაქტიკის ნაწილში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე, უნივერსიტეტი გეგმავდა სტუდენტური პრაქტიკები განხორციელებულიყო საქართველოს ეროვნულ არქივში, ხელნაწერთა ცენტრსა და ეროვნულ მუზეუმში. მისი თქმით, ასევე მოლაპარაკებები მიმდინარეობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივთან. მან შენიშნა, რომ 150 საათი იყო საკონტაქტო, რომელიც ნამდვილად არ იყო ცოტა. თუმცა მან შენიშნა, რომ უნივერსიტეტი მიიჩნევდა, რომ ძირითადი სამუშაო სტუდენტს დამოუკიდებლად უნდა შეესრულებინა. მან აღნიშნა, რომ გამოიყოფოდა პრაქტიკისათვის ერთი პიროვნება, რომელიც უნივერსიტეტის მხრიდან გაუწევდა ხელმძღვანელობას და ასევე იქნებოდა პრაქტიკის ხელმძღვანელი. მისი შენიშვნით, მთავარი იყო სტუდენტებს ემუშავათ საარქივო დოკუმენტებთან, სტუდენტს ესწავლა იმ დაწესებულების სპეციფიკაც, სადაც იმართებოდა პრაქტიკა და ეს ნაწილი უნდა ყოფილიყო კომბინირებული კვლევასთან.

17:25 საათზე გამოცხადდა შესვენება

17:30 საათზე განახლდა სხდომა

საბჭოს ზეპირ მოსმენაზე წარმოდგენილი არგუმენტების, საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებებისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შინაარსის გათვალისწინებით, მიჩნეულ იქნა, რომ საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა აკრედიტაციის მეორე სტანდარტთან მიმართებით შესაძლოა შეფასებულიყო, როგორც მეტწილად შესაბამისი, ნაცვლად შესაბამისობისა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

რეკომენდაციები:

- პროგრამის ცალკეული კურსების სილაბუსები საჭიროებს შესწორებას ან გადამუშავებას. კერძოდ:
 - საგნის „უცხო ენა აკადემიური მიზნებისთვის (ინგლისური ენა)“ სილაბუსი არ შეესაბამება თავის სათაურს და ის მთლიანად გადასამუშავებელია;

- საგნის „საქართველო და გარე სამყარო (უძველესი დროიდან - XXI საუკუნემდე)“ უნდა ჩაემატოს ქრონოლოგიურად ამოვარდნილი თემა და 4 სხვადასხვა საკითხებზე უნდა დაემატოს შესაბამისი ლიტერატურა;
- საგნის „საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთა კლასიფიკაცია“ სილაბუსი საჭიროებს შესწორებას, ვინაიდან მასში მითითებულია ქვესაკითხები (მაგალითად, არქეოლოგია – ისტორიის დამხმარე დისციპლინა), რომლებიც სამაგისტრო დონეს არ შეესაბამება;
- პრაქტიკის სილაბუსში გასასწორებელია საკონტაქტო საათების რაოდენობა.
- მოწესრიგდეს დოკუმენტაცია და განახლდეს შრომითი ხელშეკრულებები.

კენჭისყრის შედეგები:

12 - მომხრე
0 - წინააღმდეგი

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის:

საგანმანათლებლო პროგრამა - „საქართველოს ისტორია“

საფეხური - მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ისტორიის მაგისტრი 100401

მიენიჭოს აკრედიტაცი 7 წლის ვადით. საბჭომ დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 6 თვე.

17:30 საათზე სხდომა დატოვა საბჭოს მდივანმა, ნინო ლიპარტიამ და საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა

3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა
კვალიფიკაციის დონე	ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	დიპლომირებული მედიკოსი 090101
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	360

17:35 ზე სხდომას შემოუერთდნენ აკრედიტაციის საბჭოს მოწვეული წევრები.



სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს წევრმა, მკა ლაშხიამ განაცხადა თვითაცილება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, რადგან მოღვაწეობს აკრედიტაციის მაძიებელ უსდ-ში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშებსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა შენიშნა, რომ უსდ-ს წარმომადგენლებთან ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები წარიმართა კონსტრუქციულ გარემოში და მათზე ენთუზიაზმით სავსე და მოტივირებულ ადამიანთა გუნდი იყო წარმოდგენილი. მისი თქმით, მათ აქვთ მკაფიო ხედვა და აქვთ არგუმენტირებული პასუხი რატომ მედიცინა და რატომ ინგლისურენოვანი მედიცინა. თუმცა, მან ასევე შენიშნა, რომ რამდენიმე შენიშვნა იყო პროგრამის მიმართ. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ პროგრამა მოყვანილი იყო შესაბამისობაში მედიცინის დარგობრივ მახასიათებელთან, იყო ინტერგირებული და შეინიშნებოდა როგორც ჰორიზონტალური, ასევე ვერტიკალური ინტეგრაცია. ამასთან ერთად, მისი მოსაზრებით, საკმაოდ კარგად იყო გაწერილი კურიკულუმის რუკა. მან წარმოადგინა პროგრამასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები:

- ფაკულტეტმა სათანადოდ უნდა განსაზღვროს საბოლოო სწავლის შედეგები კლინიკურ კურსებში კომუნიკაციის ცოდნის, უნარებისა და შესაბამისი დამოკიდებულებისა და ქცევის შესახებ. საჭიროა პაციენტებისა და მათი ნათესავების სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფთან ურთიერთობა და კულტურული, ეთნიკური, რელიგიური თავისებურებების გათვალისწინება. ადაპტირებული ჩარჩო აცნობებს ჩარიცხულ სტუდენტებს თუ რას მოელიან მათგან - ამგვარად, აუცილებელია საკომუნიკაციო უნარების კომპლექტის განსაზღვრა, რომელიც უნდა აითვისონ სტუდენტებმა წინასწარ დადგენილ ვადებში და სასწავლო პროგრამის დასასრულისათვის;
- მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ქართულენოვან სწავლებას და კომუნიკაციის უნარს ქართულ ენაზე;
- საჭიროა კლინიკური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, განსაკუთრებით მათი, ვინც ჩართულია საწოლთან კლინიკურ სწავლებაში. ეს გაზრდა უნდა განხორციელდეს მაქსიმალური დატვირთვის რეგულირებისა დამომავალ წლებში სტუდენტური კონტინგენტის რაოდენობის გათვალისწინებით ამ თვალსაზრისით, დატვირთვის მინიმუმის, აკადემიური კვალიფიკაციების, კომპეტენციების რეგულირება კურსებთან მიმართებაში, ასევე, უნდა იყოს განსაზღვრული და დადგენილი კლინიკური პედაგოგიური პერსონალის თითოეული კატეგორიისათვის;
- ცალკე უნდა დადგინდეს კლინიკურ მენტორებად წამოყენებისა და მათი კვალიფიკაციების წესები;

- დაწესებულებამ უნდა განსაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამის პირველი 6 წლის განმავლობაში აფილირებულ ხელმძღვანელთა (შესაბამისი ხელშეკრულების მქონე პროფესორთა) საჭირო რაოდენობა.
- პრე-კლინიკური სიმულაციური პრაქტიკა მისაღებია, თუმცა კლინიკურ კურსებში სტუდენტთათვის რეალური კლინიკური შემთხვევებისადმი ხელმისაწვდომობა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი და საწოლთან პრაქტიკული სწავლების დრო მკაფიოდ განსაზღვრული;
- კონკრეტულ კურსებს ან საგნებს შორის გადაფარვა თუ დუბლირება ყურადღებით უნდა შემოწმდეს და საჭიროების შემთხვევაში ჩასწორდეს;
- პრაქტიკული კლინიკური სწავლება და ზედამხედველობა უნდა განხორციელდეს შესაბამისი უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირის მიერ, რომელსაც გააჩნია საკმარისი გამოცდილება და შეუძლია გაუზიაროს უნარები და ცოდნა სხვებს. ასეთი სტატუსი უნდა იყოს დაფიქსირებული პირად ჩანაწერებში;
- პროგრამის შემოსავლები და ხარჯები, ისევე როგორც სამედიცინო განათლების ინტეგრირება მთლიანად ინსტიტუტისა და ფაკულტეტის ფისკალურ ცხოვრებაში უნდა იყოს გამჭვირვალე. უნდა დარეგულირდეს ბიუჯეტის გადანაწილების წესები და საფაკულტეტო წესები ან გადაწყვეტილებები საგანმანათლებლო ერთეულებს შორის სახსრების შიდა განაწილების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ასევე შენიშნა, რომ მთლიანად დაწესებულებასთან დაკავშირებით გამოირკვა, რომ სტუდენტები იყვნენ ძალიან კმაყოფილი უნივერსიტეტით და თვლიდნენ, რომ სწორი არჩევანი გააკეთეს აქ ჩაბარებით. მისი თქმით, პროფესორებთან საუბრის დროს გამოჩნდა, რომ ისინი სრულ მზადყოფნაში იყვნენ ახალი სტუდენტების მისაღებად. მან აღნიშნა, რომ დაისვა კითხვები ბიოლოგიისა და სამედიცინოს სადოქტორო პროგრამების შესახებ თუ რამდენად მზად არიან ისინი რომ მიიღონ მედიცინის ფაკულტეტის პროგრამის და რა განსხვავება იქნებოდა ბიოლოგიის პროგრამისაგან, რაზეც გაეცა პასუხი, რომ მათ გააჩნიათ ამის მზადყოფნა და შესაძლებლობა. კლინიკებს რაც შეეხება, მან შენიშნა, რომ ისინი იყო ახალი და თანამედროვე, შესაბამისი აღჭურვილობით. თუმცა, კლინიკები რამდენიმე წლის გახსნილი იყო და მწირი ჰქონდათ სასწავლო პროცესის გამოცდილება, თუმცა ისინი მზად იყვნენ, სტუდენტები მიეღოთ. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ფაკულტეტმა ბევრი იმუშავა და სტრუქტურულად კარგი პროგრამა შექმნა, თუმცა ეს პროგრამა ახალი იყო უნივერსიტეტისთვის და შემდგომ განახლებასა და განვითარებასაც საჭიროებდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დადებითად შეაფასა ექსპერტთა მიერ გაწეული სამუშაო. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ მოხდა ფართომასშტაბიანი შეხვედრები აკადემიურ პერსონალთან. კონსესუსის სახით მიღებული იქნა ის მთავარი კომპეტენციები, რაზეც უნდა გავიდეს პროგრამა, ამის შემდეგ კი მოხდა გადანაწილება თუ რომელი კურსები გაიყვანდა სტუდენტს კონკრეტულ შედეგამდე. მან აღნიშნა, რომ სრულად იფარებოდა ეს ნაწილი და კურსები შესაბამისობაში იყო კომპეტენციებთან. მისი თქმით, ზოგიერთი კურსი ძალიან კარგად იყო წარმოდგენილი, ზოგი ნაკლებად, თუმცა პროცესები შეუჩერებლად ვითარდებოდა. რაც შეეხებოდა ქართული ენის ცოდნას, მან შენიშნა, რომ პირველი წლის განმავლობაში სტუდენტებს ჰქონდათ საშუალება, რომ გაიარონ ქართული ენის კურსები. თუმცა ასევე იგეგმებოდა ინტენსიური კურსების განხორციელება და სანამ სტუდენტი გადავიდოდა კლინიკაში, მას ექნებოდა ქართული ენის შესაბამისი ცოდნა. მან განმარტა, რომ კლინიკური სწავლება ნამდვილად მნიშვნელოვანია და პროგრამის ხელმძღვანელებმა შეიმუშავეს მიდგომები, რომ ყველა სტუდენტი მოხვედრილიყო რეალურ პაციენტთან. პირველი მიდგომათაგანი იყო კლინიკური სწავლების შეფასებისა და მონიტორინგის სისტემა, რომელშიც სტუდენტი აფასებდა კლინიკურ სწავლებას განვლილი კვირის შემდეგ, ჰქონდა თუ არა შეხება პაციენტთან და ა.შ. ასევე, მემორანდუმები, რომლებიც არსებობდა, მოიცავდა ვალდებულებას, რომ მათ უზრუნველყონ კლინიკური სწავლება.

ამასთან ერთად, მისი თქმით არსებობდა ირიბი მიდგომა, პორტფოლიო, რომელიც პროფესიული განვითარების ნაწილში მოიცავდა კლინიკური ქეისების დამუშავებას. იმისთვის, რომ სტუდენტმა შეძლოს პორტფოლიოს წარმოება, მას უნდა გაიაროს კლინიკური სწავლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იყო შეკითხვა, რომელიც ეხებოდა კლინიციისტების გამოცდილებას სასწავლო პროცესში. მისი თქმით, პროგრამაში ჩართულის 16 კლინიციისტი, ხოლო ჯამში კი 39 აფილირებული პროფესორი. მან განმარტა, რომ პროგრამა არის ინტეგრირებული საბუნებისმეტყველო ფაკულტეტში, სადაც პროგრამები ბიოლოგიის სხვადასხვა დარგებშია. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ უმრავლესობას სწავლების დიდი გამოცდილება აქვს და აღნიშნა, რომ ასეთი კომპლემენტარული შემადგენლობა ასეთ ოპტიმალურ შეფარდებას მოიცავს.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და დაინტერესდა, თუ რატომ დასჭირდათ ჯგუფის წევრებს სპეციალური შეხვედრები, რათა დაედგინათ რომელ მთავარ კომპეტენციებზე უნდა გასულიყო პროგრამა - ეს კომპეტენციები ხომ ნათლად არის წარმოდგენილი „მედიცინის“ დარგობრივ მახასიათებელში, რაც მათი მთავარი სახელმძღვანელო დოკუმენტი უნდა ყოფილიყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პირველ რიგში, საუბარი იყო იმაზე თუ როგორი უნდა იყოს პროგრამის სტუდენტი. მან შენიშნა, რომ კვლევა გაკეთდა დამსაქმებელთან მიმართებით, რომელიც ასევე საინტერესო იყო. მისი თქმით, ინტერდისციპლინური ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომლებთან ერთადაც საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილებების გათვალისწინებით შედგა და ფორმულირება გაუკეთდა სწავლის შედეგებს. ამის შემდეგ კი რუკა გაკეთდა, რომლის მიხედვითაც აისახება როგორ გადის პროგრამა კონკრეტულ სწავლის შედეგზე და შემდეგ, როგორ ხდება შეფასება.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ პირველ რიგში აღებულ იქნა დარგობრივი სტანდარტი და შემდეგ მოხდა კომპეტენციების დაყოფა. მან შენიშნა, რომ ქვევითი უნარების შეფასების კომპეტენცია გაიწერა.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ შარშანაც იყო საბჭოს წევრი და იმ დროს განხილულ პროგრამებთან შედარებით თვისობრივად ახალი და თანამედროვე პროგრამები იყო მიმდინარე წელს, რაც დადებითი მოვლენაა კონკურენტულ გარემოს შექმნის თვალსაზრისით. მან აღნიშნა, რომ ის იყო ერთ-ერთი თანახელმძღვანელი სამუშაო ჯგუფის, რომელიც მუშაობდა მედიცინის დარგობრივ მახასიათებელზე, რომელშიც მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული, თუ რა ცოდნა და დარგობრივი უნარები (13 კომპეტენცია) უნდა ჰქონდეთ საქართველოში უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის კურსდამთავრებულებს. მან განმარტა, რომ პროგრამის აღწერაში არ იყო ნახსენები, რომ არსებობს ეროვნული მახასიათებელი, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ეფუძნება იმ საერთაშორისო დოკუმენტების ნაწილს (TUNING/MEDINE, CanMED), რომლებიც გათვალისწინებული იყო ეროვნული მახასიათებლის შემუშავებისას. შედეგად პროგრამაში განსაზღვრულია მხოლოდ 10 კომპეტენცია (13-ის ნაცვლად).

გაიანე სიმონიამ ექსპერტებს ჰკითხა - როდესაც საუბარია იმაზე, რომ არის ინტეგრაცია, ალბათ ექსპერტებმა თავად უნდა განსაზღვრონ რა დონის ინტეგრაციაზეა საუბარი. მისი მოსაზრებით, პროგრამა Harden-ის მიერ მოწოდებული ინტეგრაციის 11 საფეხურიდან დაახლოებით მეხუთე, მეექვსე დონეს შეესაბამება, ე.წ. temporal coordination, ანუ მიღწეულია დისციპლინების სინქრონიზაცია. ეს, მისი შენიშვნით, ნიშნავდა, რომ ეს იყო ინტეგრაციის საწყისი ეტაპი - მიმდინარეობს პარალელური, დროში სინქრონიზებული სწავლება, თუმცა

არის ინტეგრაციის ელემენტებიც. მან ასევე შენიშნა, რომ სწავლების პირველ და მეორე კურსზე შეტანილი PBL-ი, რომელსაც განიხილავენ, როგორც მაინტეგრირებელ „ხიდს და დადებითად შეაფასა ეს ინოვაცია. აქვე მან შენიშნა, რომ პროგრამის აღწერაში ნათქვამია, რომ PBL შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს განავითარონ საბაზისო კლინიკური კომუნიკაციის უნარები. მისი თქმით, PBL წარმოადგენს მეთოდს, როდესაც სტუდენტები სამუშაო შეხვედრის დროს (ერთ სასწავლო ოთახში თეორიული მუშაობისთვის) განიხილავენ რაიმე კონკრეტულ პრობლემას/შემთხვევას; სწავლების ამ მეთოდის მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს გამოავლინონ, თუ რისი ცოდნა ესაჭიროებათ დამატებით აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად და ამ გზით გაიღრმავონ და დაინტეგრირონ სხვადასხვა დისციპლინებში შექმნილი ცოდნა. PBL-ის მეშვეობით არ ხდება კლინიკური კომუნიკაციის უნარების განვითარება.

მეორე საკითხი, რომელსაც შეეხო გაიანე სიმონია, იყო ის, რომ პროგრამა დაყოფილია ფაზებად; მე-4-6 კურსს ეწოდება „ადრეული კლინიკური აქტივობა“, თუმცა ეს ტერმინი უფრო შეესაბამება სწავლის დასაწყის ეტაპს (რაც არის კიდევაც პროგრამაში 1-2- კურსებზე). უფროს და დამამთავრებელ კურსებზე კლინიკური სწავლება არ არის ადრეული კლინიკური აქტივობა, არამედ რეზიდენტურისთვის მზადების ეტაპად მოიაზრება - რომელსაც ემახიან clinical attachment-ს.

მესამე საკითხი ეხებოდა OSCE-სა და DOPS (Direct observation of procedural skills)-ის საკითხებს. მან შენიშნა, რომ DOPS არის პირდაპირი დაკვირვება პრაქტიკული პროცედურების შესრულების უნარებზე. შეფასების ეს მეთოდი წარმოადგენს კომპეტენციებზე დაფუძნებული კურიკულუმის EPA – (entrustable professional activity) კომპონენტს, რომელშიც შედის, DOPS-ის გარდა, mini CX და CBD- კონსილიუმის მაგვარ კლინიკური შემთხვევის განხილვას სტუდენტების მიერ. მან შენიშნა, რომ პროგრამაში DOPS-ით შეფასება მითითებულია 1-2 კურსზე, როცა სტუდენტები რეალურ პაციენტებთან არ მუშაობენ კლინიკური პროცედურების ჩატარების თვალსაზრისით. ეს მეთოდები, მისი თქმით, შეეაბამება workplace based assessment-ს, რომლის საშუალებაც პირველ-მეორე კურსზე არ არის. ამიტომ DOPS ადგილი არის ზედა კურსებზე. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ კლინიკურ პრაქტიკას ეთმობა მხოლოდ მე-12 სემესტრი, რაც, სავარაუდოდ, არ არის საკმარისი. ასევე, შეფასების კრიტერიუმებში არის როლური თამაშები, რომელიც არ არის მიზანშეწონილი მაღალკურსელებისთვის; სწორედაც ამ დროს იქნებოდა DOPS-ი უფრო მეტად მიზანშეწონილი.

გაიანე სიმონია ასევე დაინტერესდა, გერიატრიის საკითხით და აღნიშნა, რომ ძირითად სახელმძღვანელოდ მოცემული იყო 2007 წლის სახელმძღვანელო, რომელიც არ შეიცავს სრულ ინფორმაციას, რომელიც მოეთხოვება სტუდენტს გერიატრიის შესწავლისას სილაბუსში არ არის მითითებული მკაფიოდ ხანდაზმულებისთვის დამახასიათებელი ძირითადი სინდრომები (მაგ., ე.წ. 10D-ს პრინციპი, გერიატრიული ფარმაკოლოგია და სხვ). მე-6 კურსზე კლინიკური სწავლებისას ძირითად ლიტერატურაში მოცემულია Bates Guide to Physical Examination & History Taking, Bickley. 12th Edition 2016, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოიყენება პრეკლინიკურ (მე-3 კურსზე) ეტაპზე, რომელშიც განიხილება პაციენტის ანამნეზის შეკრების, დათვალეირების, ფიზიკური გამოკვლევის მეთოდები. უმჯობესი იქნებოდა ეს სახელმძღვანელო იყოს დამხმარე, მითუმეტეს, ის უკვე მითითებულია ძირითად ლიტერატურაში წინა წლებში (სახელდობრ, მე-3 კურსზე). ასევე, მე-6 კურსისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ დიფერენციული დიაგნოსტიკის სწავლება (Differential Diagnosis of Common Complaints: by Robert H. Seller, Andrew B. Symons, 6e, 2012), რადგანაც კლინიკური პრაქტიკა უნდა გულისხმობდეს დაავადების მართვის (დიაგნოსტიკა, მკურნალობა, პრევენცია) სწავლებას.



დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რაც შეეხება დარგობრივ მახასიათებლებს, თვითშეფასებაში იყო მოცემული და მის კომპეტენციებს მთლიანად ფარავს პროგრამა.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ შენიშნა, რომ პროგრამა ყველა დარგობრივ კომპეტენციას არ ფარავს. მაგალითად: სავალდებულო 13 კომპეტენციიდან ერთ-ერთია მედიკამენტების დანიშვნა და გამოწერა, რომელიც პროგრამაში წარმოდგენილი არ არის. ეს კი მნიშვნელოვანი კომპეტენციაა, განსაკუთრებით როცა საკითხი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ მედიკამენტებს ეხება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიზანი იყო, საბოლოო შედეგი არ ყოფილიყო ძალიან დიდი, თუმცა მედიკამენტებთან დაკავშირებითაც კომპეტენციები ჩაშლილი იყო კურსებში. მან შენიშნა, რომ PBL არის 4 სემესტრის განმავლობაში, რომელიც ასევე არის ინტეგრაციის ერთ-ერთი მიდგომა და ეს არის მეშვიდე საფეხურის ინტეგრაცია. მან ასევე შენიშნა, რომ კლინიკურ უნარებზე არის საუბარი კლინიკური აზროვნების კონტექსტში, კომუნიკაციაზე არის არაკლინიკურ კონტექსტში საუბარი. Early clinical activity-ს რაც შეეხებოდა, მისი თქმით უფრო ადრე იწყება ვერტიკალური ინტეგრაციის ნაწილში კლინიკური აქტივობა, ტერმინთან დაკავშირებით კი კონსენსუსი იქნა მიღწეული. მისი თქმით, პირობითად დაიყო, რომ კლინიკური უნარების გამომუშავება იწყება ადრე, იქამდე, ვიდრე კლინიკური სწავლება იქნება, შესაბამისად ამ ნაწილს დაერქვა ადრეული კლინიკური აქტივობა, ხოლო თვითონ საქმიანობას კლინიკური პრაქტიკა. რაც შეეხებოდა DOPS-ს, მისი თქმით, საერთაშორისო ექსპერტებთანაც ჰქონდათ კონსულტაციები და აღნიშნა, რომ არსებობს სხვადასხვა ინტენსივობის DOPS და ის შეიძლება იყოს გამოყენებული სიმულაციურ სწავლებაში მულაჟთან, ამ შემთხვევაში გაწერილია, რა უნდა შეასრულოს სტუდენტმა. შესაბამისად, მე-2 და მე-5 კურსზე DOPS განსხვავებულია, რადგან შეფასების კრიტერიუმები ზედა კურსებზე უფრო კომპლექსური და ჩაშლილი ხდება. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამას გამოყენებული აქვს miniCX-ებიც და რეკომენდაცია იყო პროფესორებთან რომ მაქსიმალურად გამოეყენებინათ ეს შეფასების ფორმა. მისი თქმით, miniCX დაბალ კურსებზე მხოლოდ კომუნიკაციის ნაწილში იყო გამოყენებული, ზევით კი უკვე პაციენტთან მუშაობის დროს და არსებობდა დეტალური შეფასების კრიტერიუმები. მან შენიშნა, რომ OSCE-ს გამოცდა არის ინტეგრირებული და ეს არის პრაქტიკულ უნარებთან დაკავშირებული. მან ასევე შენიშნა, რომ CBL და CBD არის მაგალითად თერაპიასა და ისეთ კურსებში, რომლებიც უფრო ქეისებზე დაფუძნებულ სწავლებას შეიცავდა. მან შენიშნა, რომ გერიატრიასთან დაკავშირებით გათვალისწინებული იქნებოდა რეკომენდაცია. კლინიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებით, მისი თქმით, მე-12 სემესტრში სხვა ტიპის ამოცანები აქვს სტუდენტს, ეს არის სტაჟირების ტიპის მოდული, სადაც ხდება ინდივიდუალურ მუშაობაზე ორიენტირება და ეს მოსამზადებელი პერიოდი იყო, რომ სტუდენტმა დაიწყო კლინიკური საქმიანობა. ბოლოსკენ მან შენიშნა, რომ დიფერენციალური დიაგნოსტიკა არის ასეთი კურსი, თუმცა მართვაც და მკურნალობაც არის გაშლილი სხვადასხვა კურსებში.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ DOPS, ნებისმიერი ინტერპრეტაციით, ნიშნავს პროფესიული განვითარების კრიტერიუმს. მან შენიშნა, რომ წარმოუდგენელი იყო პირველ-მეორე კურსელს ემუშავა პალატაში და ეს უნარი ამ გზით შეემოწმებინათ. მისი თქმით, როგორც წესი, ასეთ დროს იყენებენ OSCE-ს კომპონენტს, ან OSPE-ს.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ შენიშნა, რომ ჰქონდა კოლეგიალური ტექნიკური რჩევა, კერძოდ, პროგრამაზე მოხვედრის წინაპირობებში გაწერილია თუ რა კონკრეტული საგნები უნდა ჩაბარდეს. მისი თქმით, აჯობებდა, რომ საქართველოს მოქალაქეებთან მიმართებაში, მორიდებოდნენ პროგრამაში კონკრეტული საგნების მითითებასდა უფრო ზოგადი ფორმულირება მიეცათ, რადგან ეს საკითხი, განათლების რეფორმის ფარგლებში, სავარაუდოდ, იცვლება. მისი თქმით, ასევე, ცოტა გაუგებარი იყო კლინიკურ უნარ-



ჩვევების ცენტრის საკითხი, თუ როგორ და სად იყო იგი ორგანიზებული. ამასთან პროგრამიდან ნათლად არ ჩანს, პროგრამის დასრულებისას რომელი მანიპულაციის შესრულება უნდა შეეძლოს კურსდამთავრებულს სიმულატორზე და რომელი - ადამიანზე.

ექსპერტმა უპასუხა, რომ დაწესებულებას კარგად მოწყობილი სიმულაციური ცენტრი აქვს, რომელიც სრულიად საკმარისია იმ კონტიგენტისთვის, რომლის მიღებასაც აპირებს პროგრამა. კერძოდ, 50 ადამიანისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა შენიშნა, რომ უცხოელმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ცენტრი აკმაყოფილებს ყველანაირ მოთხოვნას და შესაბამისად არ არის კონტრაქტორის აუცილებლობა.

იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა არის რეგულირებადი, თუ არსებობს კითხვები ამასთან დაკავშირებით.

18:10 საათზე გამოცხადდა შესვენება

18:25 საათზე განახლდა სხდომა

საბჭოს ზეპირ მოსმენაზე წარმოდგენილი არგუმენტების, საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებებისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შინაარსის გათვალისწინებით, მიჩნეულ იქნა, რომ მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის მეორე სტანდარტთან მიმართებით შესაძლოა შეფასებულიყო, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი, ნაცვლად მეტწილად შესაბამისობისა. აქედან გამომდინარე, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

17 - მომხრე

2 - წინააღმდეგი

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27⁵ მუხლის მე-7 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის:

საგანმანათლებლო პროგრამა - „მედიცინა“

საფეხური - ერთსაფეხურიანი სამედიცინო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - დიპლომირებული მედიკოსი 090101

მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

საბჭომ პროგრამის სამომავლო განვითარებისათვის განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- პროგრამაში არ არის ნახსენები დარგობრივი მახასიათებელი, რომლის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა როგორც სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) გლობალური სტანდარტები, ასევე მთელი რიგი მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტები და გაიდლაინები, მათ შორის პროგრამაში ნახსენები TUNING/MEDINE და CanMEDS (2015) სტანდარტები.

მასში დადგენილია სულ 10 კომპეტენცია, რომელსაც უნდა ფლობდეს კურსდამთავრებული, ეროვნული დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, განსაზღვრულია კურსდამთავრებულთა 13 კომპეტენცია, თუმცადა პრობლემის არსი მდგომარეობს არა მხოლოდ კომპეტენციების რაოდენობაში, არამედ იმაში, რომ წარმოდგენილ პროგრამაში არ არის ასახული ისეთი მნიშვნელოვანი კომპეტენციები, როგორებიცაა *გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს დახმარების გაწევა (პირველადი დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებები) და მედიკამენტების გამოწერა*. გაურკვეველია, რატომ არის უგულვებელყოფილი ეროვნული მახასიათებელი, რომელიც ერთხმად დაამტკიცა დარგობრივმა საბჭომ (რომლის წევრიც არის პროგრამის ხელმძღვანელიც) და მოწონებული იქნა უცხოელი WFME-ს ექსპერტის მიერ, მოხსენებული და დადებითად იქნა შეფასებული სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის კონგრესზე 2019წ. აპრილში.

შესაბამისად, რეკომენდირებულია, რომ პროგრამაში აისახოს მისი შესაბამისობა მედიცინის დარგობრივ მახასიათებელთან.

- დასახელება „ადრეული კლინიკური აქტივობა“ - (მე-5 და მე-6 წლები) - არ შეესაბამება ამ წლებში კლინიკური სწავლების დონეს და შინაარსს. ადრეულ კლინიკურ აქტივობაში, ჩვეულებრივ, იგულისხმება სწავლების ადრეულ, პრეკლინიკურ, ეტაპზე (1-2 წლებში) კლინიკური კომპონენტის - კლინიკური უნარების, სასწავლო კურსის ჩართვა, რაც ასახულია წარმოდგენილ პროგრამაში ვერტიკალური ინტეგრაციის სახით. მე-4-5 წლები არის კლინიკური კურსი სწავლების (კლინიკური როტაციების) ეტაპი (Clinical Attachments/ Clerkships), ხოლო მე-6 კურსი - რეზიდენტურისთვის მზადება და კლინიკურ უნარებში დახელოვნება.

შესაბამისად, რეკომენდებულია დასახელება „ადრეული კლინიკური აქტივობა“ მოვიდეს შესაბამისობაში შესაბამისი წლის კლინიკური სწავლების დონესთან და შინაარსთან.

- შეფასების აღნიშნული მეთოდი წარმოადგენს სტუდენტის მიერ სამუშაო ადგილზე განხორციელებული სამედიცინო პროცედურის შეფასებას და გამოიყენება, როგორც წესი, რეზიდენტების და უფროსკურსელების (მე-5-მე-6) კლინიკური უნარების შესაფასებლად - ე.წ. Work-Place Based Assessment (WPBA). ეს უკანასკნელი გულისხმობს შეფასების რამდენიმე კომპონენტს - DOPS, MiniCEX (მინიკლინიკური სავარჯიშო) და CBD (შემთხვევაზე დაფუძნებული განხილვა, ე.წ. "სტუდენტური კონსილიუმი). სწავლების ადრეულ წლებში მიზანშეწონილია OSCE ან მისი რომელიმე მოდიფიკაცია, მაგ. OSPE (ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა).

- მე-12 სემესტრი - კლინიკური პრაქტიკა - გულისხმობს შინაგან მედიცინაში, ქირურგიასა და საოჯახო მედიცინაში კლინიკურ დახელოვნებას, რისთვისაც, შესაძლებელია, არ იყოს საკმარისი დრო გამოყოფილი. სწორედ სწავლების მე-6 კურსისთვის არის შესაბამისი DOPS და MiniCEX, OSCE შეფასების მეთოდები.

- ზოგიერთი სახელმძღვანელო არის მოძველებული, მაგალითად, გერიატრია - Handbook of Gerontology: Evidence-Based Approaches to Theory, Practice, and Policy by James A. Blackburn (Editor), Catherine N. Dulmus 2007. სილაბუსში არ არის მითითებული მკაფიოდ ხანდაზმულებისთვის დამახასიათებელი ძირითადი სინდრომები, გერიატრიული ფარმაცოლოგია და სხვ. მე-6 კურსზე კლინიკური სწავლებისას ძირითად ლიტერატურაში მოცემულია Bates Guide to Physical Examination & History Taking, Bickley. 12th Edition 2016, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოიყენება პრეკლინიკურ (მე-3 კურსზე) ეტაპზე - განიხილება პაციენტის ანამნეზის შეკრების, დათვალიერების, ფიზიკური გამოკვლევის მეთოდები. უმჯობესი იქნებოდა ეს სახელმძღვანელო იყოს დამხმარე, მითუმეტეს, ის უკვე

მითითებულია ძირითად ლიტერატურაში წინა წლებში (სახელდობრ, მე-3 კურსზე). ასევე, მე-6 კურსისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ დიფერენციული დიაგნოსტიკის სწავლება (Differential Diagnosis of Common Complaints: by Robert H. Seller, Andrew B. Symons, 6e, 2012), რადგანაც კლინიკური პრაქტიკა უნდა გულისხმობდეს არა მხოლოდ დიაგნოსტიკის, არამედ დაავადების მართვის (დიაგნოსტიკა, მკურნალობა, პრევენცია) სწავლებას.

18:30 საათზე სხდომა დატოვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი ამილახვარმა.

4. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ (ე-პდს) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი (ე-პდს)
კვალიფიკაციის დონე	ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	დიპლომირებული მედიკოსი 090101
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	376

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, დავით გაგუამ განაცხადა თვითაცილება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, რადგან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი აკრედიტაციის მამიებელ უსდ-სთან.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშებსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა შენიშნა, რომ 2019 წლის ივნისში განხორციელდა პროგრამისა და პროგრამაში შემავალი აფილირებული კლინიკების შეფასება. მისი თქმით, პროგრამის შემუშავება მხარდაჭერილი იყო ლონდონის წმინდა გიორგის უნივერსიტეტის მიერ TEMPUS-ის პროექტის ფარგლებში და მას ყოველ წელს ჰყავს სტუდენტები. მან აღნიშნა, რომ პროგრამა შესაბამისობაშია რეგულაციებთან. მისი თქმით, რჩევების უდიდესი ნაწილი ტერმინოლოგიასთანაა დაკავშირებული. მან შენიშნა, რომ უნივერსიტეტი შედარებით ახალგაზრდა დაწესებულებაა, თუმცა ვითარდება სწრაფად. მისი თქმით, ექსპერტებმა ურჩიეს სპირალური კურიკულუმის წლების მიხედვით განვითარება. ამასთანავე,

ყურადღება უნდა გამახვილდეს უცხოელი სტუდენტებისთვის დაშვების მკაფიო კრიტერიუმების შემოღებაზე. ამასთან ერთად, მისი თქმით, მნიშვნელოვან რჩევად ჩაითვალა სტუდენტთა გარიცხვის მონაცემები, რამაც შეიძლება შეამციროს ასეთი ჩარევა. ასევე, რჩევები შეეხებოდა სტუდენტების მიერ თვითშეფასებას სწავლის დასრულების დროს და მის შემდეგაც. დამატებით, მისი თქმით, მნიშვნელოვანია კომუნიკაცია დამსაქმებლების ჩართვით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ დაწესებულებას მიეცა ყველაფრის ჩვენებისა და ახსნის საშუალება. მან შენიშნა, რომ შეფასების პროცესში კითხვები იყო ძალიან ზუსტი და მიზანმიმართული. მან შენიშნა, რომ პრაქტიკულად ეთანხმებოდა უსდ-ს გამოთქმულ მოსაზრებებს, რომ უკვე 2 წელიწადია ტარდება კვლევა და ექსპერტთა რჩევა მნიშვნელოვანია მეთოდოლოგიური განვითარების თვალსაზრისით. წარმომადგენელმა განმარტა, რომ უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვის კრიტერიუმები ყველა უნივერსიტეტის პრობლემა იყო, უცხოელ სტუდენტთან დაკავშირებით კეთდება ინტერვიუება, თუმცა ცოდნის თვალსაზრისით ეს არ ნიშნავს ბევრს, მთავარი რაც ღირებულად ჩაითვალა ის არის, რომ კრიტერიუმები დადგინდა ორწლიანი პრაქტიკის შედეგად და ინსტრუმენტი საშუალებას იძლევა ბევრად ინდივიდუალიზებული გახდეს მიდგომა. ეს მათ შორის გადაწყვეტდა იმ პრობლემასაც, რომელიც აქვე იყო მოცემული, რომ სტუდენტებს უწევთ ძალიან ბევრი მიზეზით დაწესებულების დატოვება. მან შენიშნა, რომ ვერ დაიწევა ის სტანდარტი ქვემოთ რაც შემუშავებულია. მან ასევე შენიშნა, რომ სპირალურ კურიკულუმთან დაკავშირებით მუშაობა მუდმივად მიმდინარეობს და ყველა კურსი შედეგების მიღწევას ემსახურება.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ შენიშნა, რომ მოწოდებული დოკუმენტაციით ირკვევა, რომ პროგრამის ენა არის ქართული, სწავლებისა და შეფასების ინგლისურენოვანი კომპონენტებით. ამავე დროს, პროგრამის სტუდენტთა სოლიდური ნაწილი უცხო ქვეყნის მოქალაქეა. იგი დაინტერესდა არასწორად ხომ არ იყო მოცემული ეს ნაწილი თვითშეფასებაში. მისი თქმით, ჩვეულებრივ, პრობლემა არის ხოლმე სტუდენტის მიერ ინგლისური ენის ფლობა, ამ შემთხვევაში კი დგება უცხოელთა მიერ ქართული ენის ცოდნის საკითხი.

დაწესებულების ხარისხის წარმომადგენელმა განმარტა, რომ თუ შერეული ჯგუფია სწავლება მიდის ინგლისურ ენაზე. მისი თქმით, პროგრამა არის ორივე ენაზე და იდენტური საგამოცდო ბლანკები და ლიტერატურა გამოიყენება, რომელიც არის ერთიანი ინგლისურენოვანი. მან აღნიშნა, რომ ცენტრის რეკომენდაცია იყო შეცვლილიყო ინგლისური/ქართული ენა და ყოფილიყო ერთი ძირითადი ენა. მან ხაზი გაუსვა, რომ ეს არის ქართულენოვანი პროგრამა ინგლისურენოვანი შეფასების კომპონენტებით და ეს არ არის სხვადასხვა პროგრამა. მისი თქმით, იყო შერეული ჯგუფებიც და სწავლების კომპონენტიც და შეფასების კომპონენტიც მოიცავდა ინგლისურ ენოვან კომპონენტებს. მან შენიშნა, რომ პროგრამა ამ პრინციპით ფუნქციონირებს 5 წელია. ამასთანავე, ლიტერატურა ძირითადად არის ინგლისურენოვანი.

საბჭოს წევრმა, მაკა ლაშხიამ აღნიშნა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტშიც არსებობს საერთაშორისო ურთიერთობების ორი პროგრამა, ქართული და ინგლისურენოვანი, რომელიც ადრე იყო ერთიანი, თუმცა ცენტრის რეკომენდაციით შეიცვალა და შეიქმნა ორი პროგრამა. მან შენიშნა, რომ რადგან იყო ქართული ენა ინგლისურენოვანი კომპონენტებით, ამის აღიარება არ ხდებოდა არც ერთ ქვეყანაში და იკითხა, თუ რომელ ჯგუფში მიდიოდა სწავლება ქართულად.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველაფერი იყო იდენტური ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სტუდენტებისათვის.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლორმა აღნიშნა, რომ თუ მაინც ქართულენოვანი სტუდენტებიც ინგლისურენოვანზე არიან მაშინ მთლიანად უნდა იყოს ინგლისურენოვანი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წარსულშიც ყოფილა საუბრები ქართული და ინგლისური ენების შესახებ და ხაზი გაუსვა ლიტერატურის ნაკლებობას ქართულ ენაზე.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ ქართულ ენაზე წარმოდგენილი სახელმძღვანელოები არ არის უახლესი და აღნიშნა, რომ თავად დასვა საკითხი თავის უნივერსიტეტში, რომ ძირითად ლიტერატურაში ყოფილიყო მითითებული, როგორც ქართულენოვანი ისე ინგლისურენოვანი ლიტერატურა. მან შენიშნა, რომ შესაძლებელია ძირითადად იყოს ინგლისური მითითებული, ქართულენოვანში შესაძლებელია იყოს მითითებული რიდერი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, ლიტერატურა გამოიყენებოდა მხოლოდ ინგლისურენოვანი, თუ სწავლა-სწავლებაც ინგლისურად მიმდინარეობდა.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ლექცია ქართულ სექტორს შეიძლება უტარდებოდეს ქართულად. მისი თქმით, კურიკულუმი იყო იდენტური ორივე ენაზე, სალექციო ენა იყო ორივე, როგორც ქართული ისე ინგლისური.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ქოქრაშვილმა აღნიშნა, რომ ასეთი მოცემულობა არ იყო მართებული და რეალურად სახეზე იყო ორი პროგრამა.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ იკითხა, ითხოვდა თუ არა უსდ ქართველი სტუდენტებისგანაც B2 დონეზე ინგლისური ენის ცოდნას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოთხოვნა იდენტური იყო და ხაზი გაუსვა, რომ პროგრამა 2014 წლიდან ფუნქციონირებდა. იყო ერთი პროგრამა, ქართულ ენაზე, ინგლისურენოვანი კომპონენტებით. მან შენიშნა, რომ ქართველ სტუდენტებთან ინსტრუქტაჟი მიმდინარეობს ქართულად, ხოლო უცხოელებთან ინგლისურად. ხოლო ლიტერატურა და სხვა რესურსები არის ინგლისურ ენაზე და გამოიყენებოდა ყველა სტუდენტთან.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ აღნიშნა, რომ არ იყო მოწოდებული ახალი სტანდარტებით მოთხოვნილი პროგრამის სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების კორელაციის (სასურველია სამშრიანი) რუკა. ასევე, ზოგიერთ სილაბუსში ძალიან მოძველებული ლიტერატურა იყო მითითებული, რომლებიც ძირითადად გამოცემულია 2007, 2006, 2005 წელს, ხოლო კიდევ უფრო მეტ სილაბუსში, დამატებით ლიტერატურაში კიდევ უფრო ძველი, მათ შორის, 1990-იანი წლის წყაროებიც იყო მითითებული. იგი დაინტერესდა, რატომ იყო მოძველებული ლიტერატურა წარმოდგენილი, როცა არსებობდა უფრო ახალი სახელმძღვანელოები. მან შენიშნა, რომ სტუდენტის აკადემიური მიღწევების შეფასების კომპონენტში მითითებული იყო დასწრება, რომელსაც, როგორც წესი, მინიჭებული ქონდა 10%, ხოლო დანარჩენი კომპონენტების მხოლოდ მაქსიმუმი იყო მოცემული და არ იყო მოყვანილი ქულების გრადაცია და მათი გაშიფრვა: რამდენი ქულა რა შემთხვევაში ენიჭება სტუდენტს.



დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 10%-თან დაკავშირებით მისაღები იყო შენიშვნა. მან აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი განსაზღვრავს, რომ სტუდენტი ვერ დაიშვება შუალედურ გამოცდაზე 10% ის გაცდენების ზემოთ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე, აღნიშნა, რომ რუკა არის სარეკომენდაციო დოკუმენტაცია, რომელიც ამარტივებს პროგრამის აღქმადობას. ხოლო სამიზნე ნიშნულები და მიზნები პროგრამის ტექსტშიც ჩანს.

19:10 საათზე გამოცხადდა შესვენება

19:30 საათზე განახლდა სხდომა

საბჭოს ზეპირ მოსმენაზე წარმოდგენილი არგუმენტების, საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებებისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შინაარსის გათვალისწინებით, მიჩნეულ იქნა, რომ დიპლომირებული მედიკოსის (ე-პდს) ერთსაფეხურიანი პროგრამა აკრედიტაციის მეორე სტანდარტთან მიმართებით უნდა შეფასებულიყო, როგორც მეტწილად შესაბამისი, ნაცვლად შესაბამისობისა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის (ე-პდს) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

18 - მომხრე

0 - წინააღდეგი

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის:

საგანმანათლებლო პროგრამა - „დიპლომირებული მედიკოსი (ე-პდს)“

საფეხური - ერთსაფეხურიანი სამედიცინო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - დიპლომირებული მედიკოსი 090101

მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით. საბჭომ დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 1 წელი.

საბჭომ პროგრამის სამომავლო განვითარებისათვის განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- პროგრამასა და თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ სწავლების ენა არის ქართული, თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ პროგრამის სწავლების და შეფასების ნაწილში გამოიყენება ინგლისურენოვანი კომპონენტები. ამავე დროს, თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა, რომ ამ პროგრამის სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოელია. თუკი უნივერსიტეტს სურს, რომ ზემოაღნიშნული პროგრამით კვლავც ისარგებლონ უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა, მაშინ პროგრამაზე სწავლების დაშვების

წინაპირობაში, უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის, ნათლად უნდა განისაზღვროს ქართული ენის ფლობის შესაბამისი დონე და მისი შეფასების წესი.

- აკრედიტაციის საბჭოსთვის მოწოდებულ დოკუმენტაციაში ვერ მოიძებნა კურიკულუმის რუკის ის ფორმა, რაც რეკომენდებულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების მოქმედი სახელმძღვანელოთი - სასწავლო კურსებისა და სწავლის საბოლოო შედეგების კორელაცია.
- პროგრამის სილაბუსების ძირითად და დამატებით სასწავლო რესურსებში ხშირად გვხვდება ძალზედ მოძველებული ლიტერატურული წყაროები. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სილაბუსი: „ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგია“, სადაც ძირითადი ლიტერატურა დათარიღებულია 2007, 2006, 2005 წლით. სხვა სილაბუსების დიდ ნაწილში, ძირითადი და განსაკუთრებით, დამატებითი ლიტერატურა მოძველებულია და ხშირად, წინა საუკუნის 90-იანი წლებით თარიღდება. აუცილებელია სასწავლო ლიტერატურის განახლება!
- პროგრამის სილაბუსებში, სტუდენტთა მიღწევების შეფასების ნაწილში, როგორც წესი, ფიგურირებს კომპონენტი – „დასწრება“. არსებული მარეგულირებელი აქტების მიხედვით, „დასწრება“ შესაძლოა აისახოს სტუდენტის აქტივობაში, მაგრამ არ უნდა იყოს მისი მიღწევების შეფასების ნაწილი.
- სილაბუსების უმრავლესობაში მითითებულია ყოველდღიური აქტივობის მაქსიმალური მაჩვენებელი. მაგალითად: სილაბუსებში „შინაგან სწავლებათა დიფერენციული დიაგნოსტიკა და გადაუდებელი თერაპია“, „ფიზიოთერაპია და რეაბილიტაცია“, „პედიატრია-2“, „საოჯახო მედიცინა“, „ნერვული სწავლებანი-2“ და ა.შ. განსაზღვრულია ყოველდღიური აქტივობის შემდეგი შეფასება: „თეორიული მომზადება“ -25% და „პრაქტიკული უნარ-ჩვევები“ -25%. ამავე დროს, შესაბამის სილაბუსებში არ არის მოცემული აქტივობის შეფასების გრადაცია 0-დან 25%-მდე. აკრედიტაციის საბჭოს რჩევაა, რომ ყველა სილაბუსში ნათლად იყოს ასახული თუ რა კრიტერიუმებით განისაზღვრება სტუდენტის აქტივობა 0-25%-მდე.

ხარისხის ცენტრთან გაიარონ კონსულტაცია მეორე პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებით.

19:40 საათზე დღოს წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ქეთევან ქოქრაშვილი

მდივანი
ნინო ლიპარტია

მდივანი
სალომე თოთიბაძე